საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№73/20 „05“ აგვისტო2020 წ.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს მიერ აგებული მრავალფუნქციური შენობის შესახებ.

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთიში, შოთა რუსთაველის ქ. N52/იაკობ გოგებაშვილის ქ. N5-ში (ს/კ№01.20.01.069.001) შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს მიერ აშენდა მრავალფუნქციური შენობა. იგი აგებულია 2018 წელს დამუშავებული პროექტის მიხედვით.

მრავალფუნქციური შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით ღერძებში Lxb=20.25x18.83 მ. შენობა ორ სართულიანია რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანი სისტემის სახით. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია bxh=40x40 სმ.

გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის უკოჭო გადახურვა (რიგელები მოწყობილია მხოლოდ პერიმეტრზე) ფილების სისქით δ=22 სმ. რიგელების განივკვეთი bxh=40x50 სმ. bxh=40x90 სმ.

შენობის საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიან ფილას სისქით 35 სმ. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, რომლის საანგარიშო წინაღობა R_0=2.5 კგძ/სმ^2. დეფორმაციის მოდული E=170 კგძ/სმ^2. საძირკვლის ძირზე მოწყობილია 10 სმ. სისქის ბეტონის მომზადება კლასით „B.-7.5” .

შენობა გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსის “Лира-САПР -2013”(ვერსია R3) -ს საშუალებით.

დასკვნა:

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთიში, შოთა რუსთაველის ქ. N52/ი. გოგებაშვილის ქ. N5-ში (ნაკ. 069/001) შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს მიერ აშენდა მრავალფუნქციური შენობა.

კონსტრუქციულად შენობის მზიდი სისტემა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ხისტ კვანძებიანი სივრცული სისტემის სახით, ჩარჩოვან ვარიანტში.

შენობა აგებულია დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ დონეზე. მისი მზიდი კონსტრუქციული ნაწილი ძირითადად შეესაბამება პროექტს. (თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულ დადგენილება (№000627) სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე) გამოვლენილი დარღვევებით ნაწარმოები მშენებლობა და ჩამოთვლილი ხარვეზები მზიდი კონსტრუქციული სისტემისათვის არ წარმოადგენს რაიმე ტიპის უარყოფით გარემოებას, არ გამოიწვევს მისთვის რაიმე ტიპის უარყოფით ზეგავლენას და ტექნიკური თვალსაზრისით დასაშვებად მიგვაჩნია.

შენობის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცე; სიხისტე და მდგრადობა უზრუნველყოფილია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/